პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
კვირა
12 ოქტომბერი
№ 235 (17878)
ფასი 2 კაპ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას!

გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას!

ერთიანი გეგმიერებით 63

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავს!

2. დიდება დიდ ოქტომბერს, რომელმაც ახალი ეპოქა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში!

3. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ რევოლუციურ ინტერნაციონალურ მოძღვრებას!

4. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას!

გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას!

5. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ღირსეულად შეეგებოთ სკკპ XXVI ყრილობას!

6. დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს, ქვეყნად მშვიდობისათვის თანამიმდევრულ მებრძოლს!

7. გაუმარჯოს საბჭოეთის გმირ მუშათა კლასს!

8. გაუმარჯოს სახელოვან კოლმეურნე გლეხობას!

9. გაუმარჯოს საბჭოთა სახალხო ინტელიგენციას!

10. გაუმარჯოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევ კავშირს!

11. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ძმურ მეგობრობასა და ურყევ ერთიანობას!

12. გაუმარჯოს სსრ კავშირის კონსტიტუციას — მსოფლიოს პირველი სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ძირითად კანონს!

გაუმარჯოს სოციალისტურ დემოკრატიას!

13. გაუმარჯოს სახალხო დეპუტატთა საბჭოებს!

დაე, ფართოვდებოდეს მშრომელთა მონაწილეობა სახელმწიფოს და საზოგადოების საქმეთა მართვაში!

14. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აქტიურად იბრძოლეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის!

15. კომუნისტებო! იყავით მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში!

16. საბჭოთა პროფკავშირებო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, პოლიტიკურ და სამეურნეო საკითხთა გადაწყვეტაში, მშრომელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში!

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

17. ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, კულტურას, პროფესიულ ოსტატობას!

იყავით კომუნიზმისათვის შეგნებული მებრძოლები!

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს!

18. გაუმარჯოთ საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

დიდება ქალს — დედას! მშვიდობა და ბედნიერება მთელი მსოფლიოს ბავშვებს!

19. საბჭოთა მეომრებო! სრულყავით თქვენი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება, ფიზიზლად და საიმედოდ დაიცავით საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა, სოციალიზმის დიდი მონაპოვრები!

გაუმარჯოს სსრ კავშირის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს!

20. სამარადისო დიდება ოქტომბრის გამარჯვებისათვის, ჩვენი სამშობლოს ღირსებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირებს!

21. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! გაზარდეთ შრომის ნაყოფიერება, ეფექტიანობა და ხარისხი ყოველ სამუშაო ადგილზე!

წარმატებით შევასრულოთ საყრილობო ვალდებულებანი!

22. დიდება წითელდროშოვან კოლექტივებს, ხუთწლედის გვარდიელებს — კომუნისტური მშენებლობის მეწინავეებს!

23. მრეწველობის მუშაკებო! განამტკიცეთ ჩვენი სამშობლოს ინდუსტრიული ძლიერება!

უფრო სწრაფად აითვისეთ და ეფექტიანად გამოიყენეთ საწარმოო სიმძლავრენი!

დანერგეთ ახალი ტექნიკა, პროგრესული ტექნოლოგია, მოწინავე გამოცდილება!

24. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! დააჩქარეთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის საწარმოო ძალების განვითარება!

გააძლიერეთ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობის ტემპი!

25. მძიმე მრეწველობის მუშაკებო! უფრო სრულად უზრუნველყავით სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება სათბობზე, ენერგიაზე, ლითონზე, ნედლეულზე!

აამაღლეთ წარმოების ტექნიკური დონე!

26. საბჭოთა მანქანათმშენებლებო! შექმენით დიდმწარმოებლური, ეკონომიური და საიმედო მანქანები, ხელსაწყოები, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებანი!

27. ქიმიური მრეწველობის მუშაკებო! დანერგეთ მაღალეფექტიანი ტექნოლოგია, უფრო სრულად უზრუნველყავით სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება ქიმიურ პროდუქტებსა და მასალებზე!

28. მრეწველობის მუშაკებო! გაზარდეთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გააფართოვეთ ასორტიმენტი, გააუმჯობესეთ მისი ხარისხი!

29. მშენებლებო და მემონტაჟეებო! დროულად აამოქმედეთ საწარმოო სიმძლავრეები და ობიექტები, აამაღლეთ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა!

აშენეთ მკვიდრად, ეკონომიურად, თანამედროვე ტექნიკური საფუძველზე!

30. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკებო! გააუმჯობესეთ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მომსახურება!

31. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი და დინამიკური განვითარებისათვის! დაარჩარეთ მისი ინდუსტრიალიზაციისა და ქიმიზაციის, მიწების მელიორაციის ტემპი, განავითარეთ წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია!

უფრო აქტიურად განახორციელეთ რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიანი ზონის გარდაქმნის კომპლექსური პროგრამა!

32. კოლმეურნეებო და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! აამაღლეთ წარმოების ეფექტიანობა!

უკეთ გამოიყენეთ მიწა, ტექნიკა, სასუქები!

მაქსიმალური ყურადღება და ზრუნვა — მომავალ მოსავალს!

33. სოფლის მეურნეობის მშრომელებო! გაზარდეთ ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სხვა პროდუქციის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა!

განამტკიცეთ მეცხოველეობის საკვები ბაზა!

34. სოფლის მეურნეობის, დამამზადებელი, სატრანსპორტო, გადამმუშავებელი და სავაჭრო საწარმოების მუშაკებო! არ დაუშვათ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგები!

ყველაფერი, რაც წარმოებულია, ხალხის კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს!

35. ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო სამსახურისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკებო! აამაღლეთ შრომის ხარისხი და კულტურა, უფრო სრულად დააკმაყოფილეთ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი!

(დასასრული მე-2 გვ.)

დამთავრდა ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი კოსმოსური ფრენა

კოსმონავტები ამხანაგები პოპოვი და რიუმინი დედამიწაზე დაბრუნდნენ

საქმეს ცნობა

კოსმონავტები ვ. ვ. რიუმინი და ლ. ი. პოპოვი დედამიწაზე დაშვების შემდეგ. საქმეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ ახალი თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვეს — წარმატებით დამთავრდა კოსმონავტიკის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ფრენა კოსმოსურ სივრცეში, რომელიც 185 დღე-ღამეს გაგრძელდა.

1980 წლის 11 ოქტომბერს 12 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის დროით „სალუტ-6"-„სოიუზ" ორბიტულ კომპლექსში მეცნიერულ-ტექნიკური კვლევისა და ექსპერიმენტების რთული და ვრცელი პროგრამის შესრულების შემდეგ კოსმონავტები ამხანაგები ლეონიდ ივანეს ძე პოპოვი და ვალერი ვიქტორის ძე რიუმინი დედამიწაზე დაბრუნდნენ. „სოიუზ-37" ხომალდის დასაშვები აპარატი დედამიწაზე დაჯდა 180 კილომეტრზე ქალაქ ჯეზყაზგანის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

მიწაზე დაშვების ადგილას შეასრულებულმა სამედიცინო გამოკვლევამ ცხადყო, რომ კოსმონავტებმა კარგად გადაიტანეს ხანგრძლივი ყოფნა უწონობის მდგომარეობაში.

ამხანაგების ლ. ი. პოპოვისა და ვ. ვ. რიუმინის ფრენა დაიწყო 1980 წლის 9 აპრილს „სოიუზ-35" ხომალდით, ხოლო 10 აპრილს „სალუტ-6" სადგურთან ხომალდის შეპირაპირების შემდეგ კოსმონავტები შეუდგნენ მუშაობას ორბიტულ კომპლექსში. სადგურის აქტიური ფუნქციონირების ვადის გახანგრძლივების მიზნით ეკიპაჟმა შეასრულა მნიშვნელოვანი მოცულობის სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები, შეცვალა საბორტო სისტემების ცალკეული ელემენტები და სამეცნიერო აპარატურა.

27 მაისს ორბიტულ კომპლექსს შეუპირაპირდა „სოიუზ-36" ხომალდი, რომელსაც პილოტობდნენ სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვალერი ნიკოლოზის ძე კუბასოვი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე ბერტალან ფარკაში. 24-31 ივლისის პერიოდში კომპლექსში მუშაობდა საერთაშორისო ეკიპაჟი სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ვიქტორ ვასილის ძე გორბატკოსა

(დასასრული მე-2 გვ.)

მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობდნენ „სალუტ-6"—„სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის მომზადებასა და შესრულებაში

კოსმონავტებს ლეონიდ ივანეს ძე პოპოვს, ვალერი ვიქტორის ძე რიუმინს

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენმა ქვეყანამ ახალი გამარჯვება მოიპოვა კოსმოსური სივრცის ათვისებაში. საბჭოთა კოსმონავტებმა ლეონიდ ივანეს ძე პოპოვმა და ვალერი ვიქტორის ძე რიუმინმა „სალუტ-6" ორბიტული სადგურით, რომელიც დედამიწისირგვლივ ორბიტაზე სამ წელზე მეტ ხანს იმყოფებოდა, შეასრულეს კოსმონავტიკის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი — 185 დღე-ღამის ფრენა.

ამ ფრენის დროს შესრულდა სამეცნიერო-ტექნიკური კვლევისა და ექსპერიმენტების ვრცელი პროგრამა. მიღებულია დიდძალი ინფორმაცია დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევისა და გარემოს შესწავლის პროგრამის მიხედვით. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ექსპერიმენტებს კოსმოსური მასალათმცოდნეობაში, ასტროფიზიკურ, ტექნიკურ და სამედიცინო-ბიოლოგიურ ექსპერიმენტებს. ორბიტული კომპლექსის შემადგენლობაში მოეწყო „სოიუზ ტ-2" სრულყოფილი პილოტირებული ხომალდის წარმატებული გამოცდა.

მთელ მსოფლიოში აღიარებულია უდიდესი წვლილი, რომელიც საბჭოთა კავშირმა — კოსმონავტიკის სამშობლომ შეიტანა კოსმოსური სივრცის ათვისებაში. პლანეტის ხალხები შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს „სალუტ-6"-„სოიუზ" პილოტირებული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენას.

„სალუტ-6" სამეცნიერო ლაბორატორიაში მუშაობდა ოთხი ხანგრძლივი ექსპედიცია და წვევის რვა ექსპედიცია. „ინტერკოსმოსის" პროგრამის შესაბამისად ამ პერიოდში მოეწყო საერთაშორისო ეკიპაჟების ფრენა, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და კუბის რესპუბლიკის კოსმონავტები.

საერთაშორისო ეკიპაჟებმა მთლიანად შეასრულეს კვლევისა და ექსპერიმენტების პროგრამა, რომლებიც ერთად მოამზადეს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მეცნიერებმა და სპეციალისტებმა.

კოსმოსში ხანგრძლივი წარმატებული ფრენა შეასაძლებელი გახდა საბჭოური კოსმოსური ტექნიკის დიდი საიმედოობისა და იმ თანამედროვე კონსტრუქციული და ტექნოლოგიური გადაწყვეტების მთელი კომპლექსის წყალობით, რომლებიც მრეწველობამ მიიღო „სალუტ-6" სადგურის შექმნის დროს. ამ უნიკალურ ექსპერიმენტში წარმატებით დამუშავდა ორბიტული კომპლექსების რეგულარული მომარაგების პრინციპულად ახალი სისტემა. „პროგრესის" ტიპის სატვირთო ხომალდების დახმარებით შესრულდა ფრენის დროს მოწყობილობის მიტანა ხელსაწყოებისა და აგრეგატების დროული შეცვლისა და ახალი ამარტიერით სადგურის ხელახალი აღჭურვისათვის, სადგურის მუშაობის რესურსისა და სამეცნიერო კვლევისა და ექსპერიმენტების მოცულობის გაღიდების მიზნით.

საბჭოთა კოსმონავტებმა და სოციალისტური ქვეყნების კოსმონავტებმა გამოავლინეს ყოველმხრივი ოსტატობა, რთული ტექნიკის ღრმა ცოდნა, მაღალი მორალური თვისებები, ვაჟკაცობა და გმირობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდად აფასებენ თქვენს გმირულ შრომას და გულითადად გიოლიცავენ, ძვირფასო ამხანაგებო ლეონიდ ივანეს ძე პოპოვ და ვალერი ვიქტორის ძე რიუმინ, ხანგრძლივი, დაძაბული და შედეგების მიხედვით ნაყოფიერი ფრენის ჩინებულად შესრულებას.

მხურვალედ ვულოცავთ ახალ თვალსაჩინო მიღწევებს, მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, კოსმოდრომის, ფრენის მართვის ცენტრის, კოსმონავტების მომზადების ცენტრის, საკომანდო-საზომი და საძიებო-სამაშველო კომპლექსების სპეციალისტებს, ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობდნენ „სალუტ-6"-„სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენის მომზადებასა და შესრულებაში.

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის წინ საბჭოურ კოსმონავტიკაში მიღწეული ახალი წარმატებები თვალნათლივ მოწმობს, რომ საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა დგას მოწინავე პოზიციებზე, რომლებიც მთელმა ჩვენმა ხალხმა თავდადებული შრომით მოიპოვა. ეს მიღწევები მნიშვნელოვანი წვლილია ქვეყნის მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის კოსმოსის ათვისების მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში, შესანიშნავი საჩუქარია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ქუთაისის შრომის ფიზიკური დროშის ორდენოსანი გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ ულოცავენ რესპუბლიკის ავტომშენებელთა მრავალათასიან კოლექტივს დიდ შრომითს გამარჯვებას — სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მეათე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებას.

ეს გამარჯვება მიღწეულია კოლექტივის თითოეული წევრის ყოველდღიური ბეჯითი შრომითა და აქტიურობით, ახლის, პროგრესული ძიებით, პროფესიული ოსტატობის ამაღლებით, დიდი პირადი პასუხისმგებლობითა და დისციპლინით. აღსანიშნავია, რომ 1972 წლიდან ქარხნის ორდენოსანი კოლექტივი ყოველ წელიწადს იმარჯვებს დარგობრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ხოლო პროდუქციის 65 პროცენტს ხარისხის სახელმწიფო ნიშნით უშვებს.

ამჟამად ქარხნის კოლექტივის წინაშე დგას დიდი და პასუხსაგები ამოცანა — ახალი შრომითი მიღწევების პარალელურად უნდა შექმნას სიმძლავრეები და მოამზადოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სრულიად ახალი დიზელიანი ავტომატარებლის წარმოება. მთელი ძალ-ონონ უნდა მოხმარდეს რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სამუშაოთა დამთავრებას დადგენილ ვადებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ნაცადი შრომითი კოლექტივი კიდევ უფრო გააფაროთებს სოციალისტურ შეჯიბრეობას და ღირსეულად შეხვდება სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, ახალი მიღწევებით აღნიშნავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო,
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ამხ. ლ. ი. პოპოვისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის" წოდების მინიჭების შესახებ

„სალუტ-6"-„სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის წარმატებით შესრულებისათვის და გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის **სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის** „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის" წოდება მიენიჭოს ამხ. ლეონიდ ივანეს ძე პოპოვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 11 ოქტომბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ლ. ი. პოპოვისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის" წოდების მინიჭების შესახებ

„სალუტ-6"-„სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით კოსმოსური ფრენის შესრულებისათვის **„სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის"** წოდება მიენიჭოს ამხ. ლეონიდ ივანეს ძე პოპოვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 11 ოქტომბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საბჭოთა კავშირის გმირის სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ამხ. ვ. ვ. რიუმინის ლენინის ორდენითა და „ოქროს ვარსკვლავის" მეორე medlით დაჯილდოების შესახებ

„სალუტ-6"-„სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის წარმატებით შესრულებისათვის და გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის საბჭოთა კავშირის გმირი სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ამხ. ვალერი ვიქტორის ძე **რიუმინი** დაჯილდოდეს **ლენინის** ორდენითა და **„ოქროს ვარსკვლავის"** მეორე medlით.

საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ვ. ვ. რიუმინის გმირობის აღსანიშნავად მის სამშობლოში დაიდგას ბრინჯაოს ბიუსტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 11 ოქტომბერი.

ლენინური ტრადიციის სულისკვეთებით

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი განიხილავს საკითხს: „მშრომელთა წერილებზე მუშაობის და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი ამ საკითხებზე სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა მიხედვით". ამ მოვლენის წინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, პარტიის საქალაქო კომიტეტისა და სარეგიონო კომისიის წევრები, მინისტრები, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები შეხვდნენ ქალაქის მშრომელებს უშუალოდ საწარმოებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე საცხოვრებელ ადგილას. ეს ტრადიციული შეხვედრები, რომლებიც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით ეწყობა, განამტკიცებს უშუალო კონტაქტებს შრომითს კოლექტივებთან, ხელს უწყობს მშრომელთა მოთხოვნებისა და სურვილების, მათ წინაშე მდგომი პრობლემების უკეთ გაგებას.

მშრომელებთან პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელების პირადი, უშუალო კონტაქტები უფრო კარგ შესაძ-

(დასასრული მე-2 გვ.)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია 1980 წლის 12 ნოემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 10 ოქტომბერი.

ხვალ, 13 ოქტომბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება

დავით გურამიშვილის

დაბადების 275-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება

(დასასრული)

36. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! განამტკიცეთ დისციპლინა, გაუფრთხილდით ყოველ სამუშაო წუთს!

მომჭირნედ და ეფექტიანად გამოიყენეთ ლითონი, ნედლეული, სათბობი, ელექტროენერგია!

37. საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! გაუფრთხილდით და ამრავლეთ სოციალისტური საკუთრება!

რაციონალურად გამოიყენეთ ქვეყნის დოვლათი, დაიცავით მშობლიური ბუნება!

38. სახალხო მეურნეობის სპეციალისტებო! გამომგონებლებო და რაციონალიზატორებო! სრულყავით ტექნიკა, ტექნოლოგია, წარმოების მართვა!

იბრძოლეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის!

39. საბჭოთა მეცნიერებო! აამაღლეთ კვლევის ეფექტიანობა, განამტკიცეთ მეცნიერებისა და წარმოების კავშირი!

დიდება საბჭოთა მეცნიერებას!

40. იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებო! აამაღლეთ აღმზრდელობითი, საინფორმაციო და პროპაგანდისტული მუშაობის ხარისხი!

კომუნისტური იდეურობა, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია — ყოველ საბჭოთა ადამიანს!

41. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენო, კულტურის მუშაკებო! შექმენით ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსი ნაწარმოებები!

მაღლა გეჭიროთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა!

42. სახალხო განათლების მუშაკებო! აამაღლეთ სწავლების ხარისხი!

აღზარდეთ მოზარდი თაობა კომუნიზმის, სწავლისა და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით!

43. უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მუშაკებო! მოამზადეთ იდეურად ნაწრთობი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები!

განავითარეთ მეცნიერება, მეტი წვლილი შეიტანეთ კომუნისტურ მშენებლობაში!

44. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებო! აამაღლეთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხი და კულტურა!

უფრო ფართოდ გამოიყენეთ მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება!

45. ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო! ამრავლეთ საბჭოთა სპორტის დიდება!

ფიზიკური კულტურა — ყოველდღიურ ცხოვრებაში!

46. რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებო! ახალგაზრდობის დამრიგებლებო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით ახალგაზრდა თაობის აღზრდაში!

47. პიონერებო და მოსწავლეებო, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებო! მხურვალედ გიყვარდეთ საბჭოთა სამშობლო!

ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, კულტურასა და შრომითს ჩვევებს!

იყავით ლენინის საქმისათვის, კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლები!

48. ძმური სალამი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს!

დაე, მტკიცდებოდეს მთელი მსოფლიოს კომუნისტების ერთიანობა და შეკავშირება, მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე!

49. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გაუმარჯოს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს — საერთაშორისო მუშათა კლასის ნაცად და მძლავრ იარაღს!

50. დაე, მტკიცდებოდეს თანამედროვეობის სამი ძირითადი რევოლუციური ძალის — მსოფლიო სოციალიზმის, საერთაშორისო პროლეტარიატისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძლევამოსილი კავშირი!

51. ძმური სალამი სოციალისტური ქვეყნების ხალხებს!

დაე, ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა!

გაუმარჯოს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მოძმე პარტიებისა და ხალხების ერთიანობასა და შეკავშირებას!

52. ძმური სალამი გმირ კუბელ ხალხს, რომელიც მამაცურად უმკლავდება ამერიკის იმპერიალიზმის ხრიკებს!

53. ძმური სალამი გმირ ვიეტნამელ ხალხს!

54. ძმური სალამი მამაც ლაოსელ ხალხს!

55. ძმური სალამი კამპუჩიელ ხალხს, რომელიც აშენებს დამოუკიდებელ, თავისუფალ, სახალხო კამპუჩიას!

56. ძმური სალამი ავღანელ ხალხს, რომელიც მამაცურად იცავს აპრილის რევოლუციის მონაპოვრებს!

57. ძმური სალამი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს, ექსპლუატაციისა და მონოპოლიების ჩაგვრის წინააღმდეგ, მშრომელთა უფლებებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ყველა მებრძოლს!

58. ძმური სალამი ხალხებს, რომლებმაც მიაღწიეს კოლონიალური უღლისაგან განთავისუფლებას და მამაცურად იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის!

59. მხურვალე სალამი აფრიკის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კოლონიალიზმისა და რასიზმისაგან კონტინენტის სრული განთავისუფლებისათვის, თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის!

60. მხურვალე სალამი ლათინური ამერიკის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან რეაქციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნების დემოკრატიული განვითარებისათვის!

61. ძმური სალამი ჩილეს მუშათა კლასს, ყველა მშრომელსა და დემოკრატს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ!

62. ძმური სალამი ხალხთა თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მამაც მებრძოლებს, რომლებიც საპყრობილეებსა და ფაშისტურ დილეგებში იტანჯებიან!

თავისუფლება იმპერიალიზმისა და რეაქციის ტუსაღებს!

63. მხურვალე სალამი არაბ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან ისრაელის აგრესიისა და იმპერიალიზმის დიქტატის წინააღმდეგ!

დაე, მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობა!

64. ევროპის ქვეყნების ხალხებო! იბრძოლეთ დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის!

65. აზიის ქვეყნების ხალხებო! იბრძოლეთ აზიაში მშვიდობის განმტკიცებისათვის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის, უშიშროების უზრუნველყოფისათვის!

66. მხურვალე სალამი დიდ ინდოელ ხალხს!

დაე, ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობა და თანამშრომლობა!

67. მსოფლიოს ხალხებო! გაერთიანდით ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში!

საკადრისი პასუხი გაეცით იმპერიალიზმის, ჰეგემონიზმის, მილიტარიზმისა და რევანშიზმის აგრესიულ ხრიკებს!

68. მსოფლიოს ხალხებო! თანამიმდევრულად იბრძოლეთ ბირთვული და მასობრივი მოსპობის ყველა სხვა სახეობის იარაღის აკრძალვისათვის, სახელმწიფოთა ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობისათვის!

ძირს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ბირთვული სტრატეგია!

69. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას!

70. გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

71. ლენინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

დამთავრდა ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი კოსმოსური ფრენა

(დასასრული)

და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქის ფამ ტუანის შემადგენლობით, 19 სექტემბრს ორბიტულ სადგურში მივიდა საერთაშორისო ეკიპაჟი სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის იური ვიტორის ძე რომანენკოსა და დასავლეთის ნახევარსფეროს სოციალისტური სახელმწიფოს წარმომადგენელი — კუბის რესპუბლიკის მოქალაქე არნალდო ტამაიო მენდესი. ყველა საერთაშორისო ეკიპაჟმა წარმატებით შეასრულა დაგეგმილი კვლევა და ექსპერიმენტები, რომლებიც მოამზადეს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების მეცნიერებმა.

6 ივნისს „სალუტ-6“ სადგურს შეუერთდა „სოიუზ ტ-2“ სრულყოფილი სატრანსპორტო ხომალდი, რომელსაც პილოტობდნენ ამხანაგები იური ვასილის ძე მალიშევი და ვლადიმერ ვიტორის ძე აქსენოვი. კოსმონავტებმა გამოსცადეს და დაამუშავეს „სოიუზ ტ-2“ ხომალდის საბორტო სისტემები ორბიტული კომპლექსის შემადგენლობაში.

ძირითადი ეკიპაჟის 185 დღეღამის ფრენისა და საერთაშორისო ეკიპაჟების ფრენის დროს „ინტერკოსმოსის“ პროგრამის შესაბამისად შესრულდა დიდი მოცულობის სამეცნიერო-ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევები და ექსპერიმენტები.

ორბიტული კომპლექსის ეკიპაჟის სამუშაოთა პროგრამაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი გეოფიზიკურ გამოკვლევებს, რომელთა მიზანი იყო ამოცანათა გადაწყვეტა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ინტერესებისათვის.

ამ მიზნით კოსმონავტები რეგულარულად აკვირდებოდნენ და ფოტოსურათებს ულებდნენ დედამიწის ზედაპირსა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიას. ფოტოგადაღებით მოცული იყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, აგრეთვე ნაწილობრივ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და კუბის რესპუბლიკის ტერიტორია.

შეკრებილია დედმინაშენელოვანი სტატისტიკური მასალა მინერალურ-სანედლეულო რესურსების გამოკვლევის ინტერესებისათვის, მასალა, რომელიც ეხება ბუნებრივი ლანდშაფტების დინამიკას, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სეზონურ ცვალებადობას, მსოფლიო ოკეანის აკვატორიას მისი ბიოლოგიური პროდუქტიულობის, ნაოსნობისა და თევზჭერის პირობების შესწავლის მიზნით.

მიკროგრავიტაციის პირობებში ნახევარგამტარი მასალების, ახალი თვისებების მქონე ლითონის შენადნობებისა და ნაერთების მიღების მიზნით განხორციელდა დაახლოებით 70 ექსპერიმენტი „შენადნობისა“ და „კრისტალის“ დანადგარებზე. გაგრძელდა კოსმოსური ეკაუუმისა და უწონობის პირობებში ლითონური დაფარვის მეთოდების დამუშავება.

ფრენის დროს ეკიპაჟებმა შეასრულეს დიდი მოცულობის სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევანი, რათა გამოერკვიათ, თუ რა გავლენას ახდენს კოსმოსური ფრენის ფაქტორები ადამიანის ორგანიზმზე, აგრეთვე უმაღლესი მცენარეებისა და სხვა ბიოლოგიური ობიექტების განვითარებაზე. რეგულარულად წარმოებდა კოსმონავტთა სამედიცინო შემოწმება. პროფილაქტიკურ სამედიცინო ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების შედეგად ნახევარი წლის განმავლობაში პოპოვი და რიუმინი ჯანმრთელად იყვნენ და ინარჩუნებდნენ დიდ შრომისუნარიანობას.

საბჭოთა კოსმონავტებისა და უნგრეთის, ვიეტნამისა და კუბის კოსმონავტების თავდადებული მუშაობის შედეგად მიღებულია მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინფორმაცია, რომელიც ფართოდ გამოიყენება საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

კოსმონავტიკის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ორბიტული ფრენისა და საერთაშორისო ეკიპაჟების ფრენის დაგეგმილი პროგრამის წარმატებით შესრულება იმის შედეგი იყო, რომ საიმედოდ მუშაობდა ტექნიკური საშუალებები, ზუსტად და შეთანხმებულად მუშაობდნენ მრავალი სამეცნიერო, საკონსტრუქტორო და საწარმოო კოლექტივები, კოსმონავტების ეკიპაჟები, ფრენის მართვის ცენტრის, კოსმოდრომის, საკომანდო-საზომი და საძიებო-სამაშველო კომპლექსების სპეციალისტები.

„სალუტ-6“ სამეცნიერო სადგური დედამიწისირგვლივ კოსმოსურ სივრცეში დაფრინავს სამ წელზე მეტია და წელიწად-ნახევარზე მეტ ხანს — პილოტირებული რეჟიმით. ამ ხნის მანძილზე სადგურში მუშაობდა ოთხი ძირითადი ექსპედიცია და წვევის რვა ექსპედიცია. „სალუტ-6“-„სოიუზ“ პილოტირებული კომპლექსის აქტიურ ფუნქციონირებას ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საიმედოდ უზრუნველყოფდნენ „პროგრესი“ ავტომატური სატვირთო ხომალდები, რომლებსაც სადგურში მიჰქონდათ სათბობი, მოწყობილობა, აპარატურა, კვების პროდუქტები, მასალები კოსმონავტთა ცხოვრებისა და მეცნიერული კვლევის შესრულების უზრუნველყოფისათვის.

ინჟინერულ-ტექნიკური გადაწყვეტანი, რომელთა მეოხებით „სალუტ-6“-„სოიუზ“-„პროგრესი“ კოსმოსური სისტემის ფრენის დროს ხორციელდებოდა სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები, ფართოვდებოდა სადგურის სამეცნიერო აპარატურისა და მოწყობილობის შემადგენლობა, ახალი, დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია სამეცნიერო და სახალხო-სამეურნეო დანიშნულების ხანგრძლივი პილოტირებული კომპლექსების შექმნის საქმეში.

თვალსაჩინო მიღწევები კოსმოსური სივრცის კვლევაში, რომლებიც შესაძლებელი გახდა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალი დონის წყალობით, ახალ პერსპექტივებს სახავენ მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ კოსმოსის შემდგომი მშვიდობიანი ათვისების გზაზე.

ლენინური ტრადიციის სულისკვეთებით

(დასასრული)

ლებლობებს ქმნის იმისათვის, რომ ოპერატიულად ეცნობოთ მათ საქმის ვითარება რესპუბლიკისა და ქალაქის ცხოვრების ამა თუ იმ დარგში, განემარტოთ პარტიის პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტი თანამედროვე ეტაპზე, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანები.

ეს შეხვედრები, რომელთა იდეა დასაბამს იღებს მასებთან ხელმძღვანელობის პირადი ცოცხალი ურთიერთობისა და მასებზე დაყრდნობის ლენინური ტრადიციიდან, კიდევ ერთხელ ნათლად მოწმობს სახალხო ხელისუფლების დემოკრატიზმს მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებაში, კომუნისტური პარტიის უდიდეს ზრუნვას საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის, მშრომელთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებისადმი უურადღებას.

ოქტომბერს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იყო და უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივს შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. იგი გაეცნო, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, სამეცნიერო კვლევა, რა პერსპექტივები აქვს ინსტიტუტის განვითარებას. ამხანაგი შევარდნაძე ეწვია კათედრებსა და სამეცნიერო-კვლევითს ლაბორატორიებს, სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროს, დაათვალიერა ტელეცენტრი და აუდიტორიები, ახლახან შექმნილი ელექტრონული მიკროსკოპი სა და ნაკეთობათა ზედაპირის ხარისხის რესპუბლიკური ცენტრი, გამოიკითხა, როგორია სწავლების ტექნიკური საშუალებანი.

ინსტიტუტის ხელმძღვანელებთან, პროფესორებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან საუბრის დროს აღიძრა საკითხები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო პოლიტექნიკური ინსტიტუტისათვის, არამედ რესპუბლიკის მთელი უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, კავშირის განმტკიცება წარმოებასთან. სახალხო-სამეურნეო პრობლემების დამუშავებაში უმაღლესი სასწავლებლების მონაწილეობის გეგმიანობა, საცდელ-სამრეწველო ბაზის შექმნა, საწარმოებთან კონტაქტების განმტკიცება. გამოითქვა წინადადებანი ამა თუ იმ პროფილის სპეციალისტებზე მოთხოვნილების ზუსტი დაგეგმვის ორგანიზაციის შესახებ, აღინიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას თანამედროვე სახელმძღვანელოები სტუდენტებისათვის. მწვავედ, კრიტიკულად განიხილეს სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების, უმაღლესი სასწავლებლების კაბინეტებისა და ლაბორატორიების საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობით აღჭურვის გაუმჯობესების პრობლემები. უმაღლესი სკოლის წინაშე პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის, როგორც საგანგებოდ გაესვა ხაზი საუბრის დროს, საჭიროა საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიციური კადრები, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ არ გვყოფნის. საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს მათი მომზადების დაგეგმვას.

სტუდენტთა კლუბში ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა უმაღლესი სასწავლებლის აქტივს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ა. ძიძიგური, მასალათა გამძლეობის კათედრის გამგე, პროფესორი ა. ა. ლოსაბერიძე, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ვ. ვ. ცოცხალაე, ფილოსოფიის კათედრის გამგე, პროფესორი ვ. ა. გაგოიძე, სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი გ. ო. ლაღუნდარიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი დ. ი. ჩხეიძეშვილი.

შეხვედრაზე გამოსულმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ უპასუხა ამ დღეს დასმულ ბევრ შეკითხვას. მან ხაზი გაუსვა, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელი და ყოველმხრივი დახმარების შემწეობით დღეს საქართველოს სს რესპუბლიკა წარმატებით ძლევს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარების სრულიად საკავშირო დონესთან შედარებით წარსულში დაშვებულ ჩამორჩენას. რესპუბლიკის მშრომელთა სოციალურ-პოლიტიკური და საწარმოო აქტიურობა, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, დაგვეხმარა გარდატეხა მოგვეხდინა საქმის ვითარებაში და ახლა რესპუბლიკა ქვეყანაში მოწინავე მიჯნებს აღწევს.

სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, საქართველოს პარტორგანიზაციების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელების გზით მიმავალი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პრობლემებს რომ შეეხო, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა: რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წარმატებანი წარმოუდგენელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გარეშე, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია აგრეთვე კვალიფიციური, იდეურად ნაწრთობი კადრების მომზადების დონესა და ხარისხზე.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საფუძვლიანად გააანალიზა საქმის ვითარება ამ სფეროში, განსაზღვრა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრაში უმაღლესი სასწავლებლების მონაწილეობის ძირითადი მიმართულებანი, დასახა ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღმოფხვრის კონკრეტული გზები.

მწვავედ დგას უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრობლემა. მთელი რიგი წლების მანძილზე მას სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა. ახლა ჩვენ ამის ნაყოფს „ვიმკით“. განვავითაროთ უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა—ნიშნავს ნორმალური პირობები შევუქმნათ ახალგაზრდობას ჰარმონიული განვითარებისათვის, ვიზრუნოთ რესპუბლიკის ხვალინდელი დღისათვის, ვიმუშაოთ თანამედროვე დონეზე, ფეხი ავუწყოთ დროს, გულსხმიერად მოვეკიდოთ სახალხო მეურნეობის ყველა მოთხოვნილებას.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით შეეხნენ სახალხო მეურნეობის იმ დარგების სპეციალისტთა მომზადების ზუსტი დაგეგმვის საკითხს, რომლებიც რესპუბლიკაში განვითარდება მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებში.

კიდევ უფრო განვითარდება ყველაზე პროგრესული დარგები— მანქანათმშენებლობა, მათ შორის საავიაციო და საავტომობილო მრეწველობა, ელექტრომშენებლობა. განვითარდება ისეთი ახალი დარგები, როგორიც არის მსხვილი ჩარხმშენებლობა, ელექტრონიკა, რადიოტექნიკა, ხელსაწყოთმშენებლობა და მთელი რიგი სხვა პროგრესული მიმართულებანი, ამ-ენდება მძლავრი საწარმოები, რომლებსაც ექნებათ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი და სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროები. მათ მუშაობას დღევანდელი სტუდენტები გაუძღვებიან.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, აღნიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, ახლა ვითარდება. მისი ფილიალები შეიქმნა საქართველოს საწარმოებში, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხანა. მას ფილიალები აქვს რესპუბლიკის ბევრ ქალაქშიც. ყოველივე ეს გულისხმობს იმას, რომ სწავლაში ჩავაბათ ათასობით ახალგაზრდა, რომლებიც ხვალ მივლენ ამ საწარმოებში, რათა იქ მუშაობის დროს ხელი შეუწყონ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. მაგრამ არ უნდა შეეზღუდოთ უმაღლესი სასწავლებლის ჰორიზონტები მარტო ინდუსტრიით, მრეწველობით. ინსტიტუტს სავსებით შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს სოფლის მეურნეობაში, რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდება. დღეს შეუძლებელია წარმოიდგინო ჩვენი სუბტროპიკული მეურნეობა, მევენახეობა და მეღვინეობა, მეჩაიეობა, თუ არ გვექნა მიწათმოქმედებისა და მოსავლის გადამუშავების პროცესების მაღალი მექანიზაცია. ჩვენი სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლები ახლა მარტო აგრონომებსა და ზოოტექნიკოსებს კი არა, აგრონომ-ინჟინრებსა და ზოოტექნიკოს-ინჟინრებსაც ამზადებენ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტს შეუძლია დაეხმაროს და უნდა დაეხმაროს კიდეც ჩვენს სოფლის მეურნეობას თანამედროვე ტექნიკით, დიდმწარმოებლური მექანიზმებით აღჭურვაში, დაზოგოს რაც შეიძლება მეტი ადამიანის შრომა, სოფლად შრომა გახადოს სახალისო, დაუახლოოს იგი ინდუსტრიულ შრომას.

უმაღლეს სასწავლებელში იდეალური წესრიგი უნდა სუფევდეს, რადგან უმაღლესი სკოლა თავიდათავი, მომავლის საწყისია. სტუდენტებმა უნდა მიიღონ საჭირო ცოდნის მაქსიმუმი, იდეურად გამოიწრთონ, გაეცნონ და ხელადგნენ პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკურ მიზნებს. უმაღლეს სასწავლებლებში წესრიგი წარმატების აუცილებელი წინამძღვარია

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲓᲦᲔᲐ

12 ოქტომბერი სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღეა

სოფლის მეურნეობის მუშაკები თავიანთ დღესასწაულს მინდვრებსა, ბაღ-ვენახებსა და ფერმებში დამკვრელური შრომით აღნიშნავენ. სურათებზე: მარცხნიდან — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: გალის რაიონის ზემო ბარღების ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი მ. ბუთბაია, ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე ნ. ჩხარტიშვილი, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ათარის კოლმეურნეობის მეჩაიე მ. კვიცინია, წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობის მექანიზატორი მ. ქარდავა, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოვოს მარჭვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ხ. დარსალია და კასპის რაიონის ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი ნ. ბუთხუზი. მათ ჯერ კიდევ შარშან შეასრულეს მეათე ხუთწლედის გეგმა-ვალდებულებები.

3. გენგიურის ფოტო.

სოფლის მშრომელთა დღესასწაული

10 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში გაიმართა სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრება გახსნა სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. კავაძემ.

კრების მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრმა შ. ეცადაშვილმა.

კრების მონაწილეებს მიესალმნენ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ქობულეთის რაიონის ალამბრის კოლმეურნეობის მეციტრუსე მ. ანანიძე, ზუგდიდის რაიონის ონარიოს ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე, მექანიზატორი გ. ჩამალუხა, საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი გ. გადელია, ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. მდივანი, საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ალექსაშვილი, პოეტი მ. ფოცხიშვილი და სხვები.

საზეიმო კრებას ესწრებოდნენ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები. ვარძელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, ლ. ზაქარიძე და რესპუბლიკის პროფსაბჭოს მდივანი ი. ბაზარაძე. (საქინფორმი).

გამოთხოვება...

იოსებ ნონეშვილის დაკრძალვა

11 ოქტომბერს რესპუბლიკის მშრომელები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ღრმა მწუხარებით ეთხოვებოდნენ გამოჩენილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს იოსებ ნონეშვილს.

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში, სადაც დადგმული იყო გახსენებულის კუბო, უწყვეტ ნაკადად მოდიოდა ხალხი — ლიტერატორებისა და ხელოვნების მოღვაწენი, ქალაქის სამრეწველო საწარმოების მუშები, სტუდენტები და მოსწავლეები, პოეტის მეგობრები, რათა უკანასკნელად ეცათ პატივი ადამიანისათვის, რომელმაც თავისი ცხოვრება და შემოქმედება უძღვნა მშობელ ხალხს, საყვარელ სამშობლოს. მადლიერი ქართველი ხალხი უკანასკნელად მიაგებდა პატივს პოეტ-მოქალაქეს, კეთილ და გულისხმიერ ადამიანს, რომელმაც ბევრი გააკეთა მშობლიური ლიტერატურის განვითარებისათვის, დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის საქმიანობაში, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე მეთაურობდა.

ძაძით არის მოსილი თეატრის ფოიე. ყიერს სამგლოვიარო მელოდია. ყვავილებში ჩაფლულ კვარცხლბეკზე ი. ნონეშვილის ნეშტი ასვენია. აქვე აწყვია გვირგვინები ორგანიზაციებისა და შემოქმედებითი კავშირისაგან. დადგა გამოთხოვების უკანასკნელი წუთები. საპატიო ყარაულში დგანან ქართული კულტურის და მეცნიერების მოღვაწენი, განსვენებულის მეგობრები და მოწაფეები.

თვალსაჩინო პოეტ-კომუნისტთან გამოსათხოვებლად მოვიდნენ ამხანაგები ე. შევარდნაძე, პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, თ. მენთეშაშვილი, ხ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ო. ჩერქეზია, ხ. ჩხეიძე, ს. ხაბეიშვილი, თ. მოსაშვილი, ვ. პაპუნიძე, ფ. სანაკოევი, ჟ. შარტავა.

სამგლოვიარო მიტინგი გახსნა ი. ნონეშვილის დამკრძალავი მთავრობის კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ.

გამოთხოვების სიტყვებს წარმოთქვამენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გ. ალიშიძე, პოეტი ე. ევტუშენკო, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი ტ. როსტიაშვილი, პოეტი ს. ცაბუტიკიანი, კომკავშირის გურჯაანის რაიკომის მდივანი მ. დოლეჯაშვილი.

სამგლოვიარო პროცესია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონსაკენ მიემართება. აქ გრძელდება სამგლოვიარო მიტინგი, კითხულობენ რესპუბლიკისა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოსულ დეპეშებს.

მიტინგი დამთავრდა. კუბო ნელა ეშვება საფლავში. იგი შემოდგომის ყვავილებით იფარება. (საქინფორმი).

ჩახჩახებს შენი ლექსის სანთელი

დავით გურამიშვილის ძეგლი თბილისში.
(ავტორი — სახელმწიფო და რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატი მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი).

„დავითიანი“ ვსთქვი დავით გურამიშვილმან გვარადო“.

ძველ საქართველოს რუსთაველის შემდეგ არ ჰყოლია ისეთი დიდი პოეტი, როგორიც დავით გურამიშვილია.

გურამიშვილის პოეტურმა სიტყვამ საუკუნეებს გაუძლო და კვლავაც პირვანდელი მშვენებით ბრწყინავს.

მაგრამ თუ შოთა რუსთაველის ცხოვრება-მოღვაწეობა ქართველი ხალხის ეროვნული აღზევების ეპოქას ემთხვევა (XII-XIII სს), დავით გურამიშვილი გვიანი შუა საუკუნეების პოეტია, როცა ქართველი ხალხის ბედ-იღბალი ბეწვზე ეკიდა.

აღმოსავლური ექსპანსიით შეპირველებული ქვეყანა როგორც პოლიტიკურად, ისე სოციალურად აშკარად დაკნინების გზაზე იყო დამდგარი. XVII-XVIII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა მოწინავე დასი გადარჩენის გზას ეძებდა, ხოლო საბოლოოდ ამ ძიებამ ისინი ერთმორწმუნე რუსეთთან მიიყვანა. ეს პროცესი ძალზე მტკივნეული აღმოჩნდა, რადგან, რაც უფრო მეტ მიდრეკილებას ამჟღავნებდა ქართველი ხალხი იმისადმი, რომ მფარველობის წესით დაკავშირებოდა ჩრდილოელ მეზობელს, მით უფრო მძაფრ წინააღმდეგობას აწყდებოდა მაჰმადიანური ქვეყნებისაგან, რომელთა შორის ძალითა და სისასტიკით გამოირჩეოდნენ შაჰის ირანი და თურქ-ოსმალეთის იმპერია.

ამ ხანებში ქვეყანა ისტორიულ გზაჯვარედინზე აღმოჩნდა, ოდნავი მოდუნებაც კი ეროვნულ გადაგვარებასა და კატასტროფას უდრიდა. ქართველ ხალხს აღმოაჩნდა იმის ძალა, რომ რუსეთის გზით დაკავშირებოდა მოწინავე ქვეყნებს და საბოლოო განადგურებისაგან გადაერჩინა საუკუნეთა მანძილზე გამოტარებული ძველი და თვითმყოფი კულტურა.

დავით გურამიშვილი სწორედ ამ მღელვარე ეპოქის ღვიძლი შვილია, ხოლო მის პოეზიაში, როგორც პრიზმაში, წარმოსახულია გზაჯვარედინზე მდგომი ქვეყნის გაუტეხელი სული. ტრაგიკულ ნაკადთან ერთად, რომელიც ასეთ სიმძლავრეს ანიჭებს მის პოეზიას, იგი იმდიანად უმზერდა მომავალს, ეძებდა მშობლიური ქვეყნის „სინათლის სხივს“ (ეს ერთი ყველაზე საყვარელი მეტაფორაა მის პოეზიაში).

ვერც სამკვდროს მოწყვეტამ, ვერც პირდაპირ ტრაგედიამ, რომელიც აგრერიგად იყო გადაჯაჭვული ქართველი ერის ბედთან, ვერ შეარყია და ვერ გატეხა პოეტის სულიერი მხნეობა.

მან საკუთარ თავში აღმოაჩინა გაუტეხელი რწმენა ადამიანთა მოდგმის უკვდავებისა და გაგვიმეღვნა კიდეც იგი „დავითიანის“ უკქნობ სტრიქონებში.

ამ დღეებში ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხებთან ერთად, განსაკუთრებული სიყვარულით აღნიშნავს დიდი პოეტისა და მოაზროვნის საიუბილეო თარიღს. გურამიშვილის ამალლებული პოეტური სიტყვა ამას ყოველმხრივ იმსახურებს.

XII-XIII საუკუნის შემდეგ, როცა მთელს ახლოაღმოსავლეთში ერთ-ერთი უძლიერესი ქართული სახელმწიფო დაანგრია მონგოლთა ურდოების უწყვეტმა ტალღამ, ქვეყანას ცოტთი მაინც ნანგრძლივი მშვიდობა აღარ ჰპრიწესია. ძველი ქართველი მეამტიანეების ფიგურალური თქმით, საქართველო სისხლის კალოს დაემსგავსა, რომელზედაც ხორბლის ნაცვლად ადამიანის ხორცსა და ძვალს ლეწავდნენ.

მაგრამ ქართველ ხალხს უმძიმეს წუთებშიაც არასოდეს დაუყოფია ფარ-ხმალი. ქვეყნის მოწინავე ძალები ნიადაგ ეძიებდნენ ხსნის გზას. საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი პიროვნებაა პოეტი და სწავლული მეფე ვახტანგ მეექვსე, რომელმაც კიდევ ერთხელ სცადა ქვეყნის პოლიტიკური თუ კულტურული აღორძინება.

მისი მეფობის პირველი წლები ემთხვევა სწორედ დავით გურამიშვილის ბავშვობისა და ყრმობის წლებს.

ვახტანგ მეექვსე მართალია მხოლოდ ქართლს განაგებდა, მაგრამ მისი მზრუნველი ხელი საქართველოს სხვა სამეფოებსაც სწვდებოდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობის აღმოჩნდა ვახტანგის მოღვაწეობა კულტურის სფეროში, ამასთან დიდმნიშვნელოვანია ის, რომ მთელი ეს მუშაობა თავისი შინაარსით განმანათლებლური ხასიათისა იყო და მიზნად ისახავდა ქვეყნის კულტურულ აღორძინებას, რომლის გარეშეც შემდგომი წინსვლა წარმოუდგენელი იყო (ივ. ჯავახიშვილი). განმანათლებლური მიმართულება ემჩნევა ამ დროს შესრულებულ ნაშრომთა უმრავლესობას, აშკარად განმანათლებლური იდეების ნაყოფიერ ალერნას განიცდის დავით გურამიშვილიც, რომელიც შემდგომში ვახტანგის ლიტერატურული სკოლის ერთი ყველაზე აქტიური წევრი შეიქნა.

პრინციპული პოზიცია ეკავა ვახტანგს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებშიც, მას კარგად ესმოდა, რომ მაჰმადიანური გარემოცვა, კერძოდ კი, ირანისა და თურქეთის (რომლებიც თავის მხრივაც პოლიტიკურსა და კულტურულ ჩიხში იყვნენ მოქცეულნი) დამთრგუნველი ზეგავლენა დაღუპვას უქადდა ქვეყანას. ვახტანგმა კურსი ახალი ცივილიზაციის ქვეყნებზე აიღო, თუმცა ეს გზა ძნელადსავალი და ეკლიანი აღმოჩნდა.

დასავლეთ ევროპასთან რეალური კავშირის ძიება იმხანად ნაადრევი გამოდგა, ცნობილია, რომ ასეთი დიპლომატიური მისიით ვახტანგისავე თაოსნობით ევროპაში იმოგზაურა სულხან-საბა ორბელიანმა, თუმცა ეს მორიგი ცდაც უნაყოფო აღმოჩნდა. მაგრამ ეს ნაბიჯები უნდა გადადგმულიყო და ვახტანგმა გადადგა კიდეც. თუ პოლიტიკურად ეს ლტოლვა მაშინ მარცხით დამთავრდა, კულტურის თვალსაზრისით მან მაინც შედეგი გამოიღო, რამაც თავისი კვალი დაამჩნია ვახტანგისა და მის თანამებრძოლთა შემდგომ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას.

სრულიად ბუნებრივია, რომ ამის შემდგომ ვახტანგმა უშუალო წინამორბედთა მსგავსად (კერძოდ, მე-17 საუკუნის მოღვაწეების თეიმურაზ პირველის, არჩილ მეფის და სხვ.) ბოლოს და ბოლოს რეალურ მოკავშირე ძალად ისევ და ისევ ერთმორწმუნე რუსეთი მიიჩნია და, როგორც ცნობილია, ამის შემდეგ ქვეყნის მეთაურის პოლიტიკური ნაბიჯები ნიადაგ აქეთკენ იყო მიმართული.

ყოველი ახალი ნაბიჯი, ეს ისტორიული ჰეშმარიტებაა, ყოველთვის გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. ვახტანგიც გაბედულად წავიდა ამ რისკზე, წმინდა გიორგივით იგი, გურამიშვილისავე მეტაფორული თქმით, განრისხებულ ვეშაპთა (იგულისხმება ირანი და თურქეთი), პირისპირ აღმოჩნდა.

კონფლიქტის უშუალო საბაბი პეტრე პირველთან ახალი საბრძოლო კავშირი შეიქმნა (ვახტანგი თავისი ჯარით უკვე განჯაში იდგა და ერთობლივ აღმოსავლეთში ემზადებოდნენ ლაშქრობისათვის), მაგრამ ეს ექსპედიცია, რომელზედაც ასეთ დიდ იმედებს ამყარებდა ვახტანგ მეექვსე, მარცხიანი აღმოჩნდა.

რუსთა ჯარი, რომელმაც ამ დროისთვის დერბენდს მიაღწია, პეტრე პირველმა უკანვე ასტრახანში გაიწვია. კონკრეტული მიზეზი პროვიანტისა და ცხენოსანი ჯარის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყო. უფრო ღრმა და ფარული მიზეზი კი ოსმალეთთან, რომელიც თვითონვე აცხადებდა პრეტენზიას აღმოსავლეთ ამერიკავკასიაზე, აშკარა კონფლიქტი გახლდათ, რაც, პეტრე პირველის აზრით, რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკისათვის იმ ეტაპზე აშკარად საზიანო ჩანდა.

ვახტანგი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მას უკვე მთლიანად ჰქონდა გამეღვიძებული თავისი პოზიცია, როცა რუსთა დასახმარებლად განჯას დაბანაკდა, შაჰმა გადაწყვიტა, სასტიკად დაესაჯა ვახტანგი და ქართელი ეახთა მეფეს, გამაჰმადიანებულ კონსტანტინეს გადასცა (ეს დამპყრობელთა ძველი და ნაცადი ხერხი იყო).

ᲐᲦᲐᲛᲘᲐᲜᲔᲗᲘ საქართველო მოიცვა ძმათა სისხლისმღვრელმა ომებმა. ამით ისარგებლა ოსმალეთმა და ქართლს ოსმალთა სარასკირები დაეპატრონენ. თბილისი კიდევ ერთხელ მიწასთან იქნა გასწორებული. ჩრდილოეთიდან ნიაღვარივით მოასწდა ისედაც დაუღლეულებულ ქვეყანას დაღესტნელ ალიაგთა მოთარეშე გუნდები.

1724 წელს ვახტანგი იძულებული შეიქმნა ქართლი მიეტოვებინა. 1200 კაცისაგან შემდგარი ამალით ვახტანგ მეექვსე რუსეთში გადადის იმ იმედით, რომ მალე შეერთებული ძალით კვლავ დაბრუნდეს სამშობლოს, მაგრამ შემდეგ დატრიალებულმა ისტორიულმა ამბებმა ფრთები შეაკვეცა ვახტანგის ზრახვებს. ეს იყო სამშობლოსთან მისი უკანასკნელი გამოთხოვება, რაც მან შემდეგში ნაღვლიანი პოეტური სტრიქონებით გამოხატა. მთავარი კი მაინც ის არის, რომ, მიუხედავად პირადი ტრაგედიისა, მისი პოლიტიკური ორიენტაცია უცთომელი გამოდგა, რაც საქართველოს ისტორიულმა ცხოვრებამ საბოლოოდ დაადასტურა.

დავით გურამიშვილი ამ ტრაგიკული ამბების მომსწრე და მონაწილე იყო. გაიღლის წლები და იგი საოცარი სიზუსტითა და ობიექტურობით (სიმართლე, „მართლის თქმა“ — ეს მთელი მისი პოეზიის უპირველესი პრინციპი იყო) აღწერს შემდგომ თავის „დავითიანში“ „ქართლის ჭირის“ შემზარავ ეპიზოდებს. მაგრამ ახლა გავადევნოთ თვალი პოეტის მოულოდნელი პერიპეტიებით აღსავსე ცხოვრებას.

✦

დავით გურამიშვილი დაიბადა 1705 წელს საქართველოს ძველი სატახტო ქალაქის მცხეთის მახლობლად მდინარე არაგვის სანაპიროზე. საგურამოს უფრო ამაღლებულ ადგილს, რომელსაც გორისუბანს ეძახიან, დღესაც ემჩნევა ძველი ციხე-დარბაზის ნანგრევები. გადმოცემით, ეს ადგილი გურამიშვილების სამყოფელია, რაზეც პირდაპირ მითითებას ჩვენ „დავითიანშიც“ ვპოულობთ: „მე ვიყავ ერთი თავადი მოსახლე გორისუბანსაო“.

დავითის ბავშვობა აქ გაუტარებია. ძველ-ქართული წესისამებრ იზრდებოდა გლეხაცის ოჯახში. უთუოდ ძიძასთან ყოფნის დროს შეეთვისა დავითმა მდიდარი ხალხური სიტყვიერება, მსუყე, მადლიანი ქართული, რომელიც მას ღრმა მოხუცებულობამდე, სამშობლოდან მოწყვეტილს ასე ცოცხლად შემორჩა და მის შემოქმედებაზე ეგზომ ნაყოფიერი გავლენა იქონია. ეს ემჩნევა არა მხოლოდ ენას, არამედ მისი მრავალფეროვანი ლექსების თემებსაც. აქვე გაეცნო, ალბათ, პოეტი ქართველი გლეხაცის ცხოვრებას და შემდეგ მას „დავითიანში“ არაერთი სიყვარულით გამთბარი სტრიქონი მიუძღვნა.

დიდებული ადგილია საგურამო. ჩრდილოეთით მოჩანს კავკასიონის მთები, საიდანაც მოედინება მჭუხარე არაგვი. სამხრეთიდან მას ზღუდავს ხშირი ტყით დაფარული იალნოს ქედი, რომლის დასავლეთ თხემზე აღმართულია ზედაზენის ძველი მონასტერი. აქვეა მცხეთა, ჯვრის მონასტერი და სვეტიცხოველი— ქართველი ხალხის ძველი კულტურის უტყუარი მოწმენი.

დავითის მამა-პაპანი ქართლ-კახეთის მეფეთა კარზე ერთ-ერთი დაწინაურებული დიდგვაროვანნი იყვნენ და ყველა პირობა არსებობდა, რომ დავითს აქ ნებიერი ბავშვობა გაეტარებინა, შესაფერი სწავლა-აღზრდა მიეღო და ყოველმხრივ განსწავლული, გაწვრთნილი, ჩამდგარიყო ქვეყნისა და ხალხის სამსახურში.

მაგრამ ბედი მას მწარე ხვედრს უმზადებდა...

სწორედ დავითის თვალწინ დატრიალდა ზემოთაღწერილი დიდი ეროვნული ტრაგედია, რომლის ერთ-ერთი უშუალო მსხვერპლი თვით დავით გურამიშვილი შეიქნა.

ეს მოხდა 1727 წელს. დავითი ამ დროს ოცდაორი წლის ჭაბუკი იყო, როგორც ჩანს, ახლად დაქორწინებული. მისი მეუღლე, აზნაურ გარაყანიძეთა ოჯახიდან, აღარ იყო ამ დროს ცოცხალი, მაგრამ აღმოსავლეთის საქმეებში ვახტანგის წინა ჯერ კიდევ დიდ თანხებს იღებდა, რათა ვახტანგის ქარს კვლავ შეეხარხუნებინა ოდნდელი ბრწყინვალება. ვახტანგის გარშემო შემოკრებილი „პატარა საქართველო“ ამავე დროს დიდ კულტურულ მუშაობას ეწეოდა და მოსკოვის მახლობლად მდებარე სოფელი ესესეიატსკოე არჩილ მეფის მიერ დაარსებული პირველი ქართული კოლონიის ღირსეულ მემკვიდრედ მოგვეგლინა. მაგრამ დავითისავე სიტყვებით რომ ვთქვათ „ორგემაგე წუთისოფლის“ ახალ განსაცდელს უმზადებდა რუსეთში გადახვეწილ ქართველობას და მათ შორის გურამიშვილსაც.

რუსთა დახმარების იმედით ქართველთა გამოლაშქრება სამხრეთისაკენ მარცხიანი აღმოჩნდა. ნადირ-შაჰის დროს სპარსეთის მოღონიერებამ და სხვა პოლიტიკურმა ფაქტორებმა ფრთები შეაკვეცა იმედებს რუსთა და ქართველი ჯარების ძლეულმოსილი ლაშქრობის გამო ამერიკავკასიაში. სასოწარკვეთილი ვახტანგი განუდგა პოლიტიკურ მოღვაწეობას. იგი 1737 წელს გარდაიცვალა ჭ. ასტრახანში და დაკრძალულია იქვე.

პოეტის ცხოვრებაში კიდევ ერთხელ მრუდედ შემოტრიალდა „საწუთროს ჩარხი“.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ თავგადასავლებს მოტრფიალე შუასაუკუნეთა ნებისმიერ რაინდს შეშურდებოდა დავით გურამიშვილის ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება. ბედმა არც საშშობლოდან სამუდამოდ მოწყვეტა, არც დაღესტნის მიუვალ აულში ტყვეობა, არც კავკასიის ჭაუხებში უგზო-უკვლოდ ხეტიალი აკმარა პოეტს.

ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ, როცა პოეტმა სამოწოდ დაჰკარგა იმედი სამშობლოში დაბრუნებისა, დავით გურამიშვილი ერთმა პირველ-თაგანმა იკისრა თავისი ეპოქის პირუთვნელი მემატიანის როლი და „მართლის თქმის“ მაღალი ხიმშეში წარმოგვისახა „დავითიანში“. მაგრამ მაინც სხვა რიგის ღირსებები განაპირობებენ „ქართლის ჭირის“ ფასეულობას. „ქართლის ჭირი“ ავტორის საკუთარ „ჭირდაა“ წარმოდგენილი, ხოლო მისი პირადი ტრაგიკული ხვედრი ცხოვრების იმავე — „ძირმწარე“ ბალახთაა ნასაზრდოები, რომელიც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ორგემაგე წუთისოფლის“ მუდმივი თანამგზავრია.

ამიტომაც, „ქართლის ჭირის“ ღრმა ფილოსოფიური დასკვნები არ იფარგლება მარტო მე-18 საუკუნის გარკვეული მონაკვეთით და „საქართველოს ცხოვრების“ ბევრად უფრო ფართო სივრცეებს სწვდება. ჩვენი ხალხის სულიერი ავ-კარგის წარმოჩენის გზაზე დავით გურამიშვილმა ქართულ მწერლობაში მანამდე უცნობ მწვეტვალებს მიაღწია და შეუპოვარი ძიებათა შედეგი სამუდამოდ აღბეჭდა კიდეც „დავითიანის“ ფურცლებზე.

„სწავლა მოსწავლეთას“ ავტორმა კარგად იცის, რომ შიმველი სახით მოწოდებული მორალისტობა კედელზე შეყრილი ცერცვივით დაეფანტება მკითხველს. პოეტმა იხრუნა კიდეც შესაფერი მხატვრული ფორმისათვის. ღრმა, ცხოვრებისეული დაკვირვება თუ წინამორბედ ფილოსოფოსთა გამონათქვამები აქ წარმოდგენილია მოულოდნელი მეტაფორებით, სხარტი ფრთიანი ფრაზებით. ამიტომაა, რომ პოეტის სამშობლოში ძნელად იპოვნი კაცს, რომელმაც არ იცოდეს გურამიშვილის ბრძნული შეგონებანი, ზეპირად არ ახსოვდეს ლაპიდარული სტილით გადმოცემული გონივრული აზრები. კანონიერი სიამაყით წერდა ამის გამო ილია ჭავჭავაძე, რომ „დავით გურამიშვილის დიდაქტიკური პოეზია პირს არ შეირცხვენს თუნდაც ლუკრეციუსის, ვერგილიუსისა და ჰორაციუსის დიდაქტიკური პოეზიას დავუყენოთ პირისპირ“.

ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ შემოქმედება მრავალ ასპექტს შეიცავს, რომელთა შესახებ საუბარი ძალზე შორს წაგვიყვანდა. ერთი რამ ცხადია, შოთა რუსთაველის პირველი და ღირსეული მემკვიდრე დავით გურამიშვილი თვითონვე გვევლინება, როგორც ახალი გზების გამკაფავი. სხვაგვარად რომ ითქვას, დავით გურამიშვილმა დაასრულა ქართული მწერლობის ერთი დიდი მონაკვეთი, რომლის ზოგი ნიშანთვისება აშკარად ატყვია მის საესულიერო ხასიათის ჰიმნებს.

მაგრამ ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სწორედ დავით გურამიშვილმა თავისი ღრმა, ნოვატორული ძიებებით ერთმა პირველთაგანმა წარმოაჩინა ქართული პოეზიის ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც მომავალში სრულიად ახალი პორიზონტების დაუფლებისაკენ მიმართავდნენ ქართულ მწერლობას.

✦

შორეულ უკრაინაში ღამეებს ათენებდა მრავალჯერული, მძიმე ცხოვრებით დამაშვრალი პოეტი: „თავისას, თავის ქვეყნისას უბედურობას ჩიოდა“. ფიქრებში ეალერსებოდა თავის მიწა-წყალს, თავის ხალხს, ეძიებდა საკუთარი სულისა და ქვეყნის გადარჩენის გზებს... და მაინც ადამიანური შიში ხვალინდელი დღის გამო არ სტოვებდა მას: „ცოცხალიც არ ვარ ესვახოვარ, მკვდარს ვინღა მიგონებსაო?“

ეს იყო მწარე დაეჭვება, რომელსაც, სამეფნეროდ, გამართლება არ ეწერა. მის ნათელ ხსოვნას ახალი ფურცლები ემატება. გურამიშვილის პოეტური სიტყვა განცდა მშობლიური ქვეყნის ფარგლებს და მარადისობისაკენ მიიკვლევს გზას.

სიბრძნისა და პოეზიის დიდი წიგნი

ᲡᲐᲠᲒᲘᲡ ᲪᲐᲘᲝᲜᲕᲘᲚᲘ

საგურამოს რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებულ სოფელ ლამისყანის მკვიდრი ყოფილა.

ქართველ მკითხველს ალბათ, კარგად ახსოვს ამ სოფლის სახელი, რადგან სწორედ აქ დატრიალდა ის ტრაგედია, რომელმაც საბოლოოდ მოწყვიტა პოეტი მშობლიურ ქვეყანას (ამ სოფლის მკვიდრნი დღესაც დიდი სასოებით ინახავენ პოეტის ხსოვნას, რასაც ყოველწლიურად ეძღვნება გურამიშვილის სახელობის დღეობა).

ლეკიანობის შიშით ბარის სოფლები მთებში იხიზნებოდნენ. გურამიშვილების ოჯახიც ქსნის ზეობაში თავის მოყვრებს შეფარებია სოფელ ლამისყანას, მაგრამ, ჩანს, დაღესტნელი მოთარეშენი აქაც თავისუფლად აღწევდნენ. მკათათვის ერთ დილას უეარაღოდ დარჩენილი დავითი მოთარეშე ლეკებს დაუტყვევებიათ.

დაღესტანში ტყვეობას რამდენიმე ლირიკული შედევრი უძღვნა პოეტმა. მკითხველის თვალწინ ფიზიკური და მორალური ტანჯვის შემზარავი სურათები გადაიშლება. ეს იყო პოეტის სულიერი ძალების დიდი გამოცდა. იგი ამაყად იტანდა ყოველგვარ დამცირებას და კვლავ თავის სამშობლოზე, ახლობლებზე ფიქრით იმსუბუქებდა ნაღველს.

გურამიშვილი დიდხანს როდი შერიგებია ამგვარ ყოფას და არც ლოცვა-ვედრებას დანდობია მხოლოდ. რამდენჯერმე სცადა კიდეც და ბოლოს, მართლაც, ნებისყოფის საარაკო დაძაბვის ხარჯზე, როცა მას საქართველოსაკენ დასახვევი გზა მოჭრილი ჰქონდა, მე-11 დღეს გავიდა „სარუსეთოს“, რაც მისთვის უკვე სამშვიდობოს ნიშნავდა.

„დავითიანში“ ეს ამბები საოცარი მხატვრული ძალითაა წარმოსახული. პლასტიკურად ნაწერი სურათები ერთმანეთს ენაცვლება და ყოველივე ამას ბრწყინვალედ აგვირგვინებს რუს კაზაკებთან შეხვედრის სცენა.

მოსკოვში პოეტს თავისი დიდი მოძღვარი და ქართული საქმეების მეთაური ვახტანგ მეექვსე ეგულებოდა. აქვე ხვდება იგი თავის ახლობლებს, მათ შორის ღვიძლ ბიძას შერად გურამიშვილს (ოდნავ მოგვიანებით მოსკოვშივე ჩამოდის პოეტის ძმა ქრისტეფორე, შესანიშნავი მოღვაწე და რუსეთში ქართული წერგნების ბეჭდვის საქმის ერთ-ერთი მესვეური).

როგორც ჩანს, დავითს უკვე საქართველოდანვე კარგად იცნობდნენ და ვახტანგ მეექვსეს იგი თავის კარზე საკმარისად მაღალ თანამდებობაზე აყენია.

მართალია, პეტრე პირველი რუსეთში მყოფ ქართველებს ერთ ნაწილთან ერთად იწყებს ნამსახურს რუსეთის სამხედრო ნაწილებში. როგორც ცნობილია, ამ დროს დაარსდა სწორედ ქართველ ჰუსართა ასეული, რომელიც შემდეგ პოლკად გადაკეთდა.

მე-18 საუკუნის ორმოციან წლებში რუსეთმა სამი დიდი ომი გადიხადა და ქართველ ჰუსართა პოლკთან ერთად სამივე ომის აქტიური მონაწილეა დავით გურამიშვილიც. მას ხან დასავლეთ უკრაინის თვალუწვდენელ ველ-მინდვრებზე ვხედავთ, როცა რუსეთის ძლევამოსილი ლაშქარი ხოტინის ციხე-სიმაგრესთან საბოლოოდ ამარცხებს თურქეთის მრავალრიცხოვან არმიას, ხან შორეული შვეიცის სანაპიროზე, ხოლო ბოლოს პრუსიასთან შეიდწლიან ომში, პოეტს საბრძოლო ნათლობა უკვე საქართველოში ჰქონდა მიღებული და ქართველი მხედრის მაღალი ღირსება, სხვა ქართველ მეომრებთან ერთად, არც მისთვის სრულიად ახალ გარემოსა და ვითარებაში შეულახავს.

აი, რას აღნიშნავდა ქართველ მეომართა სამაგალითო მოქმედების გამო ამ ხანებში რუსეთის მთავარსარდლობა: „ქართველ ჰუსარი ძალზეა ასეული მთელი კამპანიის პერიოდში იმყოფებოდა ბრძოლაში. ამ ასეულის ოფიცრები და რიგითი ჰუსარები მტრის წინააღმდეგ ისე მოქმედებდნენ, როგორც შეშვენის ძლიერ, მამაც სანდო ხალხს, და რომელთა საჭიროება არმიაში დიდიაო“.

თითქმის ოცი წელი იმყოფებოდა პოეტი მხედრულ სამსახურში. ამ ხანებში მას ახალი უბედურება დაატყდა თავს, როცა იგი დაჭრილი და ცხენითურთ ჯობში ჩაფლული იპოვეს პრუსიელებმა და ტყვედ წაიყვანეს. ჩვენ ზუსტად არ ვიცით, სჯობდა თუ არა თავის „კომფორტით“ მაგდებურგის ციხე-სიმაგრე, სადაც კარგა ხანს იტანდა ტყვეობის სიმძიმილს დავით გურამიშვილი, დაღესტანში. მის მიერვე აღწერილ უპატიოსნად ყოფნას, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ახალი ტყვეობიდან იგი ფიზიკურად და სულიერად იმდენად დაძაბუნებული დაბრუნებულა, რომ მას, შესაფერი პატივის დადასტურების შემდეგ, საბოლოოდ ათავისუფლებენ სამხედრო სამსახურიდან.

„ᲤᲘᲢᲮᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲝᲒᲘᲧᲣᲐᲜᲘ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲠᲐ ᲒᲜᲐᲛᲐᲓᲘ.
ᲛᲔ ᲛᲝᲛᲛᲝᲗᲮᲠᲘᲡ: ᲛᲐᲜᲓᲔᲓᲐᲛᲔ
ᲐᲮᲚᲐ ᲐᲓᲔᲥ, ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲬᲐᲓᲔ!
ᲯᲐᲚ-ᲣᲜᲔᲑᲠᲘᲗ ᲬᲐᲛᲘᲧᲣᲐᲜᲘᲡ,
ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲐ ᲕᲘᲧᲣᲐ ᲛᲬᲐᲓᲘ.
ᲒᲐᲛᲘᲛᲬᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲨᲔᲜ ᲐᲮᲚ ᲒᲐᲛᲘᲛᲬᲐᲠᲔ!“

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 275-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

გულით ნამღერი ქართლის ცხოვრება!

ᲬᲘᲒᲜᲘ, რომელსაც პოეტმა ძესავით საკუთარი სახელი დაანათლა, „ლექსად თქმული და ნამღერი ქართლის ცხოვრებაა!“ და რომ ჭირთათმენით შექმნილ „დავითიანში“ არაფერი გადაჭარბებული და გამოგონებული არ არის, ავტორისავე ბეჯითი სიტყვა გვიდასტურებს:

„დავით სწორედ მოგითხრობს...
„დავითს რაც უთქვამს, სწორია!“

დიახ, დავითს რაც უთქვამს სწორია! სიმართლის ძალით დაიმკვიდრა დავით გურამიშვილმა საშვილიშვილო სახელი და დიდება.

და განა მარტო სამშობლოში, რომლის მზის მონატრულიც იყო სიცოცხლის ბოლო წუთებამდე! დავით გურამიშვილის შემოქმედებას ენებულად იცნობენ რუსეთში და მთელ საბჭოთა კავშირში, დავით გურამიშვილი უყვართ უკრაინაში, სადაც პოეტის ხსოვნას დიდ პატივს მიაგებენ. უკრაინამ იშვილა საბოლოოდ გურამიშვილი, იქიდან მოატანა საქართველომდე მისი პოეზიის შუქმა და დაამკვიდრა იგი სამუდამოდ მგზნასთა შინა!

ორი საუკუნის სიღრმიდან მოდის ეს ნათელი და დღეს პოეტის დაბადების 275-ე წლისთავის ზეიმს ჩვენთან და უკრაინასთან ერთად მოსკოვიც გიაზიარებს, ქალაქი, სადაც მცირე საქართველოა ტყვეობიდან თავდაღწეულმა დავით გურამიშვილმა.

1787 წლის სექტემბერში მირიან ბატონიშვილის სახელზე დაწერილ არზაში ვკითხულობთ:

„მათი გავიგონე დიდრონეს ღამებში შესაქცევლად ქართლურის წიგნების დამჭირნოება, და ამად ქადნიერ ვიქმენ და მოვართვი ჩემი თავთქვამი წიგნი, რომელსა ეწოდება „დავითიანი“. და ამა წიგნში არს ჩატანებული ჩემგნი ახალი მოგონებული სარწმუნოვანა და წიგნილის მოხაზულობა და ამბავი. ჩემის ხელით დაწერილია ქართულად, და ეს ჯერ არსად არის გამოცხადებული ჩემის უძლურებითა და გაუბედაობითა“...

„...ჩემის ხელით დაწერილია ქართულადო... ამბობს იგი, და იქვე ითხოვს, ეს ამბავი რუსულად ათარგმნინონ და მოხაზულობა უმჯობესად მოახაზვინონო...

...რუსულად ათარგმნინონო... ჩვენს დროში აუხდა ეს ნატვრა ბგოსანს! მისმა ლექსმა გაგვიმრავლა მოყვახი და მეგობარი.

დღეს დავით გურამიშვილის სახელი და შემოქმედება საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის ერთ-ერთი შემამტკიცებელი და შემადუღაბებელია. პარტია და ხელისუფლება უფრთხილდებიან ფასებენ და ამზევებენ ეროვნულ კულტურათა უშორეს საგანძურს, რასაც ნათლად ადასტურებს ახლანდელი საყოველთაო გურამიშვილობა.

...მოწიწებით უბოძა შთამომავლობას მოხუცმა დავითმა „დავითიანი“, მოწიწებითვე ჩამოართვა მას ეს ძღვენი შთამომავლობამ და იქცა იგი თავისი ცნებით ყოველი ერის, ყოველი ადამიანის უკეთეს მრჩევლად და განუყრელ მეგობრად:

„...ნუ ხვალ გზასა უკეთურსა, ნუ გარდიქაჯეო!
რაც გზა დავით წინ დაგიდვა, მაზედ აბიჯეო,
რაც გზა დავით წინ დაგიდვა, მაზედ აბიჯეო!“

სამუდამოდ იწამა ყოველმა წამკითხველმა ამ მამაშვილური სიტყვების ძალა, ხოლო მთელი წიგნი, რომლის მეოდებელს სანთელივით ჩაუკრა თვალის ჩინი, — ნათელსვეტად, რადგან „დავითიანი“ იმთავითვე გალექსილ ქართლის ცხოვრებად ცნო.

ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲮᲝᲗᲑᲔ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ სახელი დიდი ხანია სამი მოძმე ხალხის—რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის სიმბოლოდ იქცა. ამ დიდ მეგობრობას ორ-ნახევარი საუკუნის წინათ ეძღვნა მან თავისი უბადლო პოეტური ნიჭი. ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მეხოტბედ შევიდა ჩვენი სამშობლოს ლიტერატურის ისტორიაში დავით გურამიშვილი. ამიტომ მისი დაბადების 275-ე წლისთავი ფართოდ აღინიშნება ჩვენ ქვეყანაში. საქართველოს სახელოვანი მამულიშვილისადმი სიყვარულმა და პატივისცემამ მის სამშობლოში მეგობრობის გზებით ჩამოიყვანა ცნობილი მწერალი და პოეტები მოსკოვიდან, სხვა ადგილებიდან, მოძმე რესპუბლიკებიდან. საქართველოს დედაქალაქი თავი მოიყარეს მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლებმა, რათა მონაწილეობა მიიღონ საიუბილეო ზეიმში.

თბილისში ჩამოვიდა აგრეთვე ელეგაცია უკრაინიდან, სადაც ეუფლება მეორე სამშობლო პოეტ. ელეგაციას მეთაურობს უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე პ. ზაგრებელნი.

ამ დღეს საიუბილეო ზეიმის მონაწილეთა პირველი სიტყვა მიართეთა იყო რუსთაველისადმი, ეროვნის რაინდისადმი, რომლის ეგალი აღმართულა მისივე სახელობის მოედანზე. ღრმად სიმბოლოურია ის, რომ საბჭოთა ლიტერატორებმა თავი მოიყარეს იმ ადგილის ძეგლთან, რომელმაც ჯერ კიდევ ადრეული აღორძინების რიჟრაჟზე მთავრობენი ადიდა ხალხთა მეგობრობა, ძმობა და თანასწორობა. დიდი წინამორბედის ღირსეულმა მემკვიდრემ დავით გურამიშვილმა თავისი უკვდავი ქმნილებების მთავარ თემად გაიხადა კეთილშობილური იდეები — სამშობლოს ერთგულება, სხვა ხალხების სიყვარული და პატივისცემა. შეკრებილებმა გვირგვინებით შეამკეს რუსთაველის ძეგლი.

შემდეგ საიუბილეო ზეიმის მონაწილენი გაემართნენ ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე სკვერისაკენ, სადაც დგას დავით გურამიშვილის ბრინჯაოს ძეგლი, რომლის ავტორია ცნობილი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი. ყამთა სვლა ვერაფერს აკლებს ძეგლს, რომ

ვ ი ტ ა ლ ი კ ო რ ო ტ ი ჩ ი

დავით გურამიშვილზე თქმული

დიდი ქართველი პოეტის საიუბილეო თარიღს ფართოდ ეხმაურება უკრაინელი ხალხი. ამ დღეებში კიევში ლიტერატურული გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა ცნობილი უკრაინელი პოეტის ვიტალი კოროტიჩის ტრიპტიხი „დავით გურამიშვილზე თქმული“, რომელიც სპეციალურად გაზეთ „კომუნისტისათვის“ თარგმნა პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა.

I

დრომ ყველას თავის არგუნა წილად,
შენ გეჯუბით,
შენ მოძღვართ მოძღვარს,
დავით წასულო დიდი ხნის წინათ,
გაკვეთილები შენი ბედის
გვასწავლე ცოცხალთ.

ჩამოხსენ ციდან მზეი ცივი
და წარმართული,
ის არ გათბობდა,
ის მარადის იყო მდუმარი,
შენ ხელადებში დაგიმარდა
ღვინო ქართული,
რადგან ყამი-ყამ მოგდიოდა
სახლში სტუმარი.

მარადიულო პოეზიავ, პასუხი გამეც,
რად ზეიმობენ ყამს მიმწუხრის,
უკეთურები,
შენი შვილები სად ათევენ
კუნაპეტ ღამეს,
ან მარტოსულებს
რატომ მოსავ უბედურებით.

ნუ დაამადლი მშიერს პურს და
მწყურვალს ჭიქა წყალს,
პოეტს რაც უნდა იგი მიეც —
მიეც იმედი,
რაც აქ იყავი
ბრძენი იქაც ხარ,
მახსოვს, მილიარდ ჩიტის სტვენით
მიგაცილებდნენ.
საქართველომდე შორი არის,
სამგიეროდ,
აჯობე სიკვდილს, ურჩხულს და ტიტანს,
სად შენ ხმაურობ,
სულიერი არა ხმიერობს,
რაც პირველ იყო, შენ იგი ხარ —
შენა ხარ სიტყვა.

შენ პოეზიავ, ტკივილი გყოფნის,
რამდენი ლექსი უპატრონოდ
მინდორში ყრია...
რამდენი ხიშტი, რამდენი თოფი,
ახლა თვითმკვლელის ნასროლი ტყვია?!

ცოცხლებისთვისაც გავიმეტოთ
ხანდახან ქება,
ო, სიცოცხლეშიც უხარიათ
ქება პოეტებს,
სიჩუმის გავლით,
ბეთხოვენის იალებს ვნება
და უსახლკაროს სკოვოროდა
უხმობს კომიტასს.

უნდა ვეძებოთ საფლავები,
დაფერფლილ წლებში,
დავიმახსოვროთ,
სად მარხია პოეტის მუზა,
ჰუსართა რაზმმა ჩაიარა
პენით და ეშხით,
მდინარე ვორსკლში,
შენმა მტერმა ჩაუშვა ღუზა.

ალუბლის ხეზე თეთრ პერანგის
ნაფლეთი თეთრი
მოკლული ღმერთის დროშასავით
გაუფენიათ,
ძველი სიზმრების დასაწერად
ჩანს პერგამენტი,
ისიც სიჩუმით გაუფერიათ.

სახელოვანო, არაფერზე
აღარ იჯავრო,
უკვე შორსაა მარტოობა
დავით ბატონო,
შენ ხარ გრანიტი, მარმარილო,
შენ ხარ ბრინჯაო,
„დავითიანი“ მილიარდი გაქვს საავტორო.

შენი ხის ჩრდილში
იმალება უცხო ფრინველი,
ნვიმა მუზისა შენს სარკმელთან
ცრემლით მიჭრილა,
ხარ ტიდებული
და საკვირველი,
შენს მაგიდაზე გავსებულა
ყველა ჭინჭილა.

II

ჯარისკაცებთან, გლეხებთან და
მგოსნებთან მინვა,
აქაც და იქაც,
რომ ყველას გავდეს,
შესძლო, რომ მინად ქცეულიყო,
მშობლიურ მინად,
კეთილშობილი ჭაღარიდან
ჰუსარის ხმლამდე.

საოცარია, ბედიღბალი
როგორ გასახრე,
ბედნიერებად მოგვევლინე,
ნახველ ტანჯვითა,
რისი მინა და რისი სასახლე,
შენი ზესკნელი შემოსილა
სტავრა-ფარჩითა.

დაიმახსოვრეთ,
მისი მინა საქართველოა,
უკრაინაში ტკივილით და
ტანჯვით შეჭრილი,
მისი მინდორი,
მისი ღირსი მთა და მდელოა,
ის უკრაინას სტკივა
ქართველის მტკივან ბეჭვივით.

III

ესაა შენი ზმნაც და რითმაც,
მთელი ცხოვრებაც...
პოლტავის მტვერი მოაქვთ მერცხლებს
საგურამოსკენ,
სიკვდილის მინდვრებს
სიცოცხლისთვის ემახსოვრებათ —
ვარსკვლავთა კუდზე
შენი ლექსი როგორ გამოსკვნეს.

შენ გულწრფელობავ, გულუხვობავ
ბუნების კალთის,
აკაციებზე შემომსხდარან
შენი ჩიტები,
მარადისობის საიდუმლო
საქვეყნოდ გასთქვი,
ახლა უსივრცო სივრცეების
კაბით ირთვები.

შავ კარადებში ჩაიფერფლა
ყველა მუნდირი,
შენ დარჩი დავით,
დროც ჩაემხო ყვითელ ბალახში,
დღეთა კრისტალებს
შემოემტვრა ეჭვი უნდილი,
დაჭრილ ჰუსარის ნიგნი დარჩა,
როგორც ბადახში.

ძეო ადამის,
არაკაცთა
გზები გადასჭერ,
შენ მოიპოვე უკვდავება
სიკვდილის გავლით...
მე ვიმეორებ,
ათასჯერ და ასიათასჯერ...
დავით მიყვარხარ!
მიყვარხარ დავით!

1980 წელი, ოქტომბერი.

თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა.

საიუბილეო გამოცემები

დიდი ქართველი პოეტის საიუბილეო თარიღს, ცხადია, გამომცემლობებიც გამეხმაურნენ.

„ხელოვნებამ“ და უკრაინის „მისტეცტვომ“ ერთობლივად გამოსცეს პოემა „დავითიანი“ და ახალგაზრდა უკრაინელი მხატვრისა და ფოტოჟურნალისტის ევგენი დერლემენკოს ფოტოპოემა „მრუდის საწუთროს ტრიალი“. ეს არაჩვეულებრივი გამოცემა სამენოვანია— ქართული, რუსული და უკრაინული. ფოტოპოემაც სამ ენაზეა. იგი ორი განყოფილებისაგან შედგება. პირველია „ქართლის ჭირი“— შესაბამისი ილუსტრაციებით, ხოლო მეორე ეძღვნება პოეტის ცხოვრებას უკრაინაში. აქ გამოყენებულია ნაწყვეტები სიმონ ჩიქოვანის პოემიდან „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. ფოტოპოემაში შევიდა 150 ფერადი სურათი.

შესავალი წერილი, „გურამიშვილისა და ჩიქოვანის ლექსთა თარგმანები ეკუთვნის მიკოლა ბაჟანს, „დავითიანის“ რუსული თარგმანი —ნიკოლოზ ზაბოლოცკის, „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ რუსულად უთარგმნიათ ვლადიმერ დერჟავინსა და ლეონიდ ვიშესლავსკის.

„დავითიანის“ შესავალი წერილი ეკუთვნის აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძეს, ხოლო თარგმანების კომენტარები —პროფესორ სარგის ცაიშვილს.

ორივე გამოცემა დაიბეჭდა იუგოსლავიის ქალაქ ლუბლიანაში.

„საბჭოთა საქართველომ“ კითხველებს მიაწოდა დიდი პოეტის თხზულებათა სრული კრებული. სარედაქციო კოლეგია— გ. აბაშიძე, ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ე. მაღრაძე, გ. ფანჯიკიძე, ო. ჩერქეზია, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური. კრებული შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო პროფესორმა ს. ცაიშვილმა.

გამომცემლობა „ნაკადული“ გვთავაზობს სარგის ცაიშვილის „დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ს“, ხოლო „მერანი“— კრებულს სახელწოდებით „შენ ჩემო წინამორბედო“.

„აქ უნდა ზაფხული დაიხატოს“

მხატვრობა და ლიტერატურა იშვიათად ყოფილა კულტურის ისტორიაში ერთმანეთთან ისე მჭიდროდ დაკავშირებული, რგოგორც ეს იყო გურამიშვილის ეპოქაში. ალეგორია, ემბლემურობა, დევიზი ამ პერიოდის პოეტური აზროვნების განუყოფელი თვისებებია.

ამდენად ბუნებრივია, რომ გურამიშვილის ზოგიერთი პოეტური სურათი, მეტაფორა, განმაზოგადებელი პასაჟი შთაგონებულია მისი დროის ან მის ეპოქაში პოპულარული მხატვრული ტილოებით.

ასე, მაგალითად, მისი განმაზოგადებელი და ქართველთა დაბნეულობის გამომხატველი ფრაზა: „წინა აღუძრა ბრმა ბრმათა“ — უშუალოდ ეხმიანება იმ დროისათვის ცნობილ ბრეიგელის „ბრმების“ კომპოზიციას. ასევე ბრეიგელის „სიკვდილის ტრიუმფის“ გამოძახილი იგრძნობა გურამიშვილის მიერ არა ერთხელ წარმოსახულ სიკვდილის ტრიუმფებში, აპოკალიფსურ ხილვებში. აქ გურამიშვილი უხვად სარგებლობს დიურერის, ჰოლბეინის და სხვა ევროპელი მხატვრების ემბლემური სურათებით.

ეს იყო ბაროკოს სტილის ლიტერატურის მოთხოვნა და თვისება. ეს ლიტერატურა პრინციპულად სვსხულობდა იმ დროის გრავიურებზე გამოსახული ემბლემების კომპოზიციებს. ემბლემა აქ ასრულებდა ხილული მეტაფორის როლს. ამ მეტაფორა-ემბლემებით გურამიშვილი განსაკუთრებით უხვად სარგებლობდა „ბედის“ დახასიათების დროს.

ის, რომ ეს ხერხი პოპულარული იყო საქართველოში, ამას თვით გურამიშვილი გვაუწყებს. „ქართლის ჭირში“ ის აგვიწერს კახეთის მეფის მიერ ქართლის მეფესთან წერილის მიწერის ამბავს.

კახეთის მეფე საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის და ქართლ-კახეთის ძმობის აუცილებლობის შესახებ თვალსაზრისს ურთავს საკუთარი ხელით შესრულებულ ალეგორიულ სურათს.

სურათის აზრს გურამიშვილი ასე გადმოგვცემს:

დახატა ცეცხლი გალავანად,
შუკა ერთ გორად წალამი,
ზედ ორი ქვეყნის იგავი,
მასზე თავდახრით ალამი,
ერთზედ დაწერა „ფეშქაშ დურ“
და მეორეზე „სალამი“.

ამის შემდეგ გურამიშვილი აღწერს ქართლის სამეფო კარზე ამ სიმბოლოების გაშიფვრის სიტუაციას.

სალამს, ალამს, ცეცხლსა,
წალამს,
ფეშქაშ დურს და ქვეყნის იგავს
სთარგმნიდიან ვეზირები.
იტყოდენ, თუ ეს რას მიჰგავს?

თუ როგორ დამთავრდა ემბლემების გაშიფვრის ამბავი, ეს ცალკე საკითხია. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ამ სტილისტიკის გავრცელების მასშტაბები XVII-XVIII საუკუნეების ქართული კულტურის სისტემაში.

მაგრამ ბევრისათვის ყველაზე უფრო მოულოდნელი უნდა იყოს დავით გურამიშვილთან, როგორც მხატვართან, შეხვედრა. უნდა ვიცოდეთ, რომ გურამიშვილი თავისივე „დავითიანის“ ილუსტრატორია.

თავს, „ქაცისა და საწუთრისაგან ცილობა“.... წინ უძღვის გურამიშვილის ხელით შესრულებული უნიკალური სურათი. მხარ-თეძოზე წამოწოლილ ადამიანს თავს დასდგომია ცელის მლესავი სიკვდილი.

თავისი კომპოზიციით და მეტაფორულობით ეს სურათი უშუალოდ ეხმაურება ბაროკოს ემბლემურ კომპოზიციებს.

ჩვენ არაფერი ვიცით, თუ როგორი იქნებოდა სურათები, რომელთა დახატვაც განზრახული ჰქონია გურამიშვილს. „ქაცვია მწყემსის“ დასაწყისში სათაურის ზემოთ დატოვებულ ადგილზე მას დაუწერია: „ზამთარი დაიხატოს“. ამავე პოემის მეორე თავის დასაწყისში კი გურამიშვილს განუზრახავს ზაფხული დახატვა. მისი მინაწერია: „აქ უნდა ზაფხული დაიხატოს“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე ეს განუხორციელებელი კომპოზიცია ისევე სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათის იქნებოდა, როგორიც არის „ქაცისა და საწუთრის ცილობის“ სურათი.

რაც შეეხება გურამიშვილის „დავითიანის“ ბოლოში მოქცეულ ავტოპორტრეტს, რომელშიც, ს. ჩიქოვანის თქმით, გურამიშვილი გამოიყურება, როგორც „წეროს დარად წიგნში მდგარი“ — ეს არის უნიკალური ფაქტი.

ვ. გაფრინდაშვილი ამ ავტოპორტრეტის შესახებ წერდა: „გურამიშვილის ავტოპორტრეტი — მოჩვენებაა. მოჩვენებაა მთელი მისი ტანი — თითქოს დასველებული, ოოცვად აპყრობილი ხელები, აწეული მხრები, დაფერფლილი სახე, მისი კანკალი და შემოდგომა!“

სურათებზე: ზემოთ — **გურამიშვილის „დავითიანის“ ბოლოში მოქცეული ავტოპორტრეტი; ქვემოთ —გურამიშვილის ხელით შესრულებული სურათი, რომელიც წინ უძღვის „დავითიანის“ ერთ-ერთ თავს.**

ეროვნული
სპორტი

ორგიტა

ველოსპორტი. მეხიკოში ხისსფარიან ტრეკზე გამართულ შეჯიბრებაში კანადელმა სპორტსმენმა გორდონ სინგლეტონმა რიგით მესამე მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ამჯერად მან გიტში — ადგილიდან 1000 მეტრზე რბოლისას ისახელა თავი — 1 წუთი და 03,82 წამი. ძველი რეკორდი ეკუთვნოდა არგენტინელ მრბოლს ხოხე რუჩინსკის (1.04,25). სინგლეტონმა რომ 200 და 500 მეტრზე რბოლაში დაამყარა მსოფლიო რეკორდები, გუშინდელ გაზეთში ვიტყობინებოდით. კანადელი სპორტსმენი დღეს იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამაში გათვალისწინებულ შეჯიბრებაში ცდის ძალებს.

ფეხბურთი. გაიმართა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეცხრამეტე ტურის მატჩები. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს გუნდებმა „ერეკლეს“ „ტორპედომ“ და „ლოკომოტივის“ — „გურიამ“ სტუმრად ითამაშეს. „ტორპედო“ ნიკოპოლში დამარცხდა ადგილობრივ „კოლოსთან“ — 0:1, „გურია“ კი დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“ — 1:2. გათამაშებას 51 ქულით ლიდერობს სიმფეროპოლის „ტავრია“. „ტორპედოს“ და „გურიას“ 38-38 ქულა აქვთ და კვლავ მეთორმეტე-მეცამეტე ადგილებს ინაწილებენ.

ფარიკაობა. ბერლინში ფარიკაობაში ევროპის ჩემპიონატზე ბულგარეთის ნაკრებმა ოქროს medali მოიპოვა. ბულგარელ ფარიკაობელთა ოქროს medali ერგო ალექსანდრ ბელოვსკიმ, ბრინჯაოს medali — ალექსანდრ ბელოვსკიმ, ალექსანდრ ბელოვსკიმ, ალექსანდრ ბელოვსკიმ,